



მოწვევა სატენდერო წინადადებების შემოტანაზე

## მოწვევა სატენდერო წინადადებების შემოტანაზე

თარიღი: იანვარი 23, 2020

სესხი/გრანტი . და დასახელება: 3291/3292 GEO - ურბანული მომსახურებების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა - ტრანში 5

კონტრაქტი და დასახელება: UWSCG-NCB-დიაგნოსტიკური მოწყობილობა-G-04-2019 – დიაგნოსტიკური მოწყობილობის შესყიდვა

სატენდერო წინადადებების შემოტანის ბოლო ვადა: თებერვალი 24, 2020, 15:00 (თბილისის დროით)

- საქართველომ აზიის განვითარების ბანკისაგან (ADB) მიიღო ურბანული მომსახურებების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამის მე-5 ტრანშის დაფინანსების სესხი. დაგეგმილია, რომ დაფინანსების თანხის ნაწილი გამოყენებული იყოს ზემოხსენებული კონტრაქტის ფარგლებში გადახდების მიზნით. ტენდერი ღიაა პრეტენდენტებისათვის აზიის განვითარების ბანკის უფლებამოსილი ქვეყნებიდან.
- საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია (UWSCG) („შემსყიდველი“) იწვევს ელექტრონულ სატენდერო წინადადებებს უფლებამოსილი პრეტენდენტებისაგან საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემით საგანმანათლებლო კომპონენტისათვის სატრენინგო აღჭურვილობის შესყიდვის მიზნით.

საქონლისა და დაკავშირებული მომსახურებების მოკლე აღწერა:

	საქონლის ან დაკავშირებული მომსახურებების დასახელება	აღწერა	განზომილები ს ერთეული	რაოდენობა
G04.01	ჰიბრიდული კორელატორი	ჰიბრიდული კორელატორი გაჟონვების დასაფიქსირებლად, რაც უზრუნველყოფს დაუყოვნებლივ გაზომავს (ონლაინ) და ღამის გაზომვებს (ოფლაინ). <ul style="list-style-type: none"> <li>უნდა ჰქონდეს მსუბუქი კორპუსი მარტივი გადატანისათვის და უნდა იყოს მარტივი სამართავი სენსორული ეკრანის საშუალებით.</li> <li>თავსებადია პლასტმასის მილების გაჟონვების დაფიქსირებასთან, სადაც ხმის გავრცელება, როგორც ცნობილია, დაბალია.</li> <li>უნდა ჰქონდეს ზუსტი ადგილმდებარეობის განსაზღვრის სენსორები</li> <li>უნდა ჰქონდეს მიწის მიკროფონი</li> <li>პროგრამირების, წაკითხვისა და გაზომვების ანალიზის კომპიუტერული პროგრამა.</li> </ul>	კომპლექტი	2

<b>G04.02</b>	<b>მიწისქვეშა ხაზების ლოკატორი</b>	დამარხული მიწების ადგილმდებარეობის ზუსტი განსაზღვრა. ამ კომპლექტში შედის მიმღები შესაბამისი თავსებადი ზონდით იმ სიხშირით, რაც გამოიყენება პროექტის განხორციელების ქვეყანაში.	<b>კომპლექტი</b>	<b>2</b>
<b>G04.03</b>	<b>ავტომატური ჰორიზონტალური ტელეინსპექტირება</b>	ტელეინსპექტირების სისტემა უნდა მუშაობდეს კანალიზაციის მიწებზე შიდა დიამეტრით 200-დან 700 მმ-მდე ქსელის დეფექტების გამოვლენის მიზნით, როგორცაა ბზარები, გაბიდნვა, მილის დეფორმაცია, ნალექის, ფესვების არსებობა, მილის ჩამსხვრევა ან შემჭრელი გვერდითი მიწები. ქვემოთ მოცემული აღჭურვილობა უნდა მონტაჟდებოდეს ბორბლებსა და ძრავიან მუხლუხოზე. კომპლექტში შედის: <ul style="list-style-type: none"> <li>• მოძრავი კამერა;</li> <li>• ჩაშენებული სანათები;</li> <li>• ლაზერული დიოდები.</li> </ul> CCTV-ს სისტემამ უნდა გაზომოს მილის ქანობი და გაღუნვა. ყველა დეფექტი და აზომვა უნდა დაფიქსირდეს კომპიუტერული პროგრამით. ძრავიანი მუხლუხო უნდა იყოს ძლიერი, რათა შეძლოს გაიაროს რამდენიმე ასობით მეტრი მილში. საკომუნიკაციო კაბელი ინახება ავტომატურად კონტროლირებად ჯალამბარზე. შესაბამისი კომპიუტერული პროგრამა შედის მოწოდებაში.	<b>კომპლექტი</b>	<b>1</b>
<b>G04.04</b>	<b>ვერტიკალური ტელეინსპექტირების კამერის სისტემა</b>	პორტატული საინსპექციო კამერის სისტემა ჭაბურღილების დათვალიერებისათვის, რაც უზრუნველყოფს პროფესიონალურ, ხარისხიან შემოწმებას ეფექტურობის გაზრდის მიზნით. კამერის სისტემა უნდა მიდიოდეს 50-დან 400 მმ დიამეტრის მქონე ჭაბურღილებზე. კომპლექტში შედის: <ul style="list-style-type: none"> <li>✓ საკონტროლო ბლოკი და მონიტორი</li> <li>✓ საზიდარი ელექტრო ჯალამბარით, კაბელის გორგალითა და გასაწევი ისარით;</li> <li>✓ ორმაგი ხედვის კამერა.</li> </ul> შესაბამისი კომპიუტერული პროგრამა შედის მოწოდებაში.	<b>კომპლექტი</b>	<b>1</b>

<b>G04.05</b>	<b>ხმაურის ლოგერის კორელაცია</b>	აკუსტიკური ლოგერების კომპლექტი რესტრანსლირებითა და GSM ყუთით (სპეციალური პროგრამით ცენტრალურ კომპიუტერზე დისტანციურად, ავტომატურად მონაცემთა გადაცემის შესაძლებლობით), რომელიც უნდა დამონტაჟდეს წყალმომარაგების ქსელში. მისი მთავარი ფუნქციაა ხმების ჩაწერა, რომელთა ზუსტი ვიზუალიზაცია უნდა მოხდეს მოსაწოდებელი კომპიუტერული პროგრამით. ლოგერებს უნდა ჰქონდეთ კორელაციის ფუნქცია პოტენციური გაჟონვის დაფიქსირებისათვის შესაბამისი ლოგერიდან მიღებული ხმაურის მეშვეობით. ხმის ლოგერების კონფიგურაცია დისტანციურადაც უნდა შეიძლებოდეს. მოწოდებაში შედის კომპიუტერული პროგრამა და კაბელები.	<b>კომპლექტი</b>	<b>2</b>
<b>G04.06</b>	<b>ჰორიზონტალური ტელენსპექტირების სისტემა პატარა დიამეტრებისათვის</b>	ინსპექტირების კამერის სისტემა მილებისათვის. ყველაფერი ერთში მინი ინსპექტირების სისტემა მოქნილობით ინსპექტირების ფართო რიგისათვის, მათ შორის, შიდა სადრენაჟო მილები, საცხოვრებელი სახლების მილგაყვანილობა, შიდა კომერციული მილები და გვერდითი მილები DN 100 მმ-მდე. კომპლექტში შედის: ) ხვეული; ) სარქველის შტანგა; ) კონტროლის მოდული; ) კამერა.	<b>კომპლექტი</b>	<b>1</b>
<b>G04.07</b>	<b>ელექტრო (ულტრაბგერითი) წყლის ხარჯზომი GPRS სისტემით</b>	ულტრაბგერითი ჩამჭერი მობილური ხარჯზომი მარტივი მონტაჟისა და მოხსნისათვის, რომელიც უზრუნველყოფს გაზომვას საკმარისი სიზუსტით დაბალი ხარჯების დროსაც. წყლის ხარჯზომს უნდა ჰქონდეს მონაცემთა ლოგერი, კომუნიკაციის კაბელი და კომპიუტერული პროგრამა მონაცემთა მარტივი ჩამოტვირთვისათვის. ადეკვატური სენსორები სხვადასხვა დიამეტრის მილისათვის. მას უნდა ჰქონდეს IP68 დაცვა.	<b>კომპლექტი</b>	<b>2</b>
<b>G04.08</b>	<b>პორტატული ლაბორატორია ტექნიკური ინსპექტირებისათვის, მონიტორინგისა და ტესტირებისათვის</b>	პორტატული ლაბორატორიის შესყიდვა. მაღალი გამავლობის ტრანსპორტი დიზელის ძრავით, რომელიც ვარგისია ზემოაღნიშნული გაჟონვის დაფიქსირების მოწყობილობისათვის. ტრანსპორტს უნდა ჰქონდეს საკონტროლო ოთახი, ტექნიკური განყოფილება და უკანა ნაწილი, რომლის დამატებითი დეტალები შეგიძლიათ იხილოთ ტექნიკურ სპეციფიკაციებში.	<b>კომპლექტი</b>	<b>1</b>
<b>G04.09</b>	<b>საერთაშორისო ტრენინგი</b>	საერთაშორისო ტრენინგის ორგანიზება წყალმომარაგების კომპანიის 6 თანამშრომლისთვის მწარმოებლის ქარხანაში- ყველა ხარჯის გათვალისწინებით (ეკონომ კლასის თვითმფრინავის ბილეთები, სასტუმროს ხარჯები და ასშ.)		<b>1</b>

G04.10	ადგილობრივი ტრენინგი	წყალმომარაგების კომპანიის 6 თანამშრომლის ადგილობრივი 3 დღიანი ტრენინგის ორგანიზება/ ჩატარება.		1
G04.11	ტრანსპორტირება	აღჭურვილობების ტრანსპორტირება CIP Tbilisi		1

3. მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები მოიცავს **არა მხოლოდ** შემდეგს:

**საშუალო წლიური ბრუნვა:** მინიმალური საშუალო წლიური ბრუნვა **751,830.00 აშშ დოლარის** ოდენობით, რომელიც გამოითვლება ბოლო 3 (სამი) წლის (2017, 2018, 2019) განმავლობაში დასრულებული ან მიმდინარე კონტრაქტების ფარგლებში პრეტენდენტის მიერ მიღებული თანხების ჯამით (ერთიანი საწარმოს შემთხვევაში: თითოეულმა პარტნიორმა უნდა დააკმაყოფილოს მოთხოვნის 25%, ხოლო ერთმა - 40%);

⌋ **საკონტრაქტო გამოცდილება:** ბოლო 3 (სამი) წლის განმავლობაში სულ მცირე 2 (ორი) კონტრაქტის წარმატებით დასრულება თითოეული **350,854.00 აშშ დოლარის** ოდენობის ღირებულებით, რომელთა ბუნებაც და სირთულე მე-6 სექციაში (მოწოდების გრაფიკი) აღწერილი მოწოდების მოცულობის მსგავსია (ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში: ყველა პარტნიორმა ერთად უნდა დააკმაყოფილოს მოთხოვნა);

4. სახელმწიფო კონკურენტუნარიანი ტენდერი ჩატარდება **საქართველოს ელექტრონული შესყიდვის სისტემით** ADB-ს ერთეულებიანი: ერთკონვერტიანი სატენდერო პროცედურის მიხედვით და ღია ყველა პრეტენდენტისათვის უფლებამოსილი ქვეყნებიდან, როგორც სატენდერო დოკუმენტებშია განსაზღვრული.
5. დამატებითი ინფორმაციის მოპოვებისა და სატენდერო დოკუმენტების შემოწმების მიზნით პრეტენდენტებმა უნდა იხილონ საქართველოს ელექტრონული შესყიდვის სისტემის გვერდი - [www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge)
6. სატენდერო დოკუმენტების ჩამოტვირთვა უფასოდ ინგლისურ ენაზე შესაძლებელია საქართველოს ელექტრონული შესყიდვის სისტემის გვერდიდან 2020 წლის 23 იანვრიდან 2020 წლის 24 თებერვლამდე.
7. სატენდერო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს **საქართველოს ელექტრონული შესყიდვის სისტემით** 2020 წლის 24 თებერვლამდე (15:00) (თბილისის დროით). პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადების ფასი უნდა მიუთითონ ელექტრონულ ველში **საქართველოს ელექტრონული შესყიდვის სისტემაში**; ამის არ გაკეთების შემთხვევაში მოხდება ასეთი სატენდერო წინადადების უარყოფა. სატენდერო წინადადებები გაიხსნება ელექტრონულად **საქართველოს ელექტრონული შესყიდვის სისტემაში** 2020 წლის 24 თებერვალს 15:00 (თბილისის დროით).